ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1154661

ნომერი: AR1198821

თარიღი : 28.02.2014

გაცემის თარიღი : 05.03.2014

გაცნობის თარიღი : 13.03.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თ. ერისთავი , N 3 , (ნაკვ. 37/022) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ნიშნიანიძე პ/ნ 41001003782
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ V მ/რ კორ. 10 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.01.2014წ. #1068900 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 02/20/2014წ. #AR1198821 განცხადებით მომართა

დავით ნიშნიანიძემ და მოითხოვა სამსახურის 08.01.2014წ. #1068900 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 08.01.2014წ. #1068900 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი - ნაძალადევი, თ. ერისთავის ქუჩა, N3, (ნაკვ. 37/022), თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.12.08.037/022) შეთანხმდა მრავალფუნქციური, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებელი უთითებს, რომ ბრძანებაში არასწორად იქნა მითითებული საცხოვრებელი, კომერციული, საზაფხულო, დამხმარე და საერთო ფართობების ციფრობრივი მაჩვენებლები, კერძოდ: შეთანხმებული პროექტით საცხოვრებელი ფართობი შეადგენს 9661.43 კვ.მ-ს, ბრძანებაში კი დაფიქსირებულია 9626.2 კვ.მ; კომერციული ფართობი 1231.5 კვ.მ–ს ნაცვლად უნდა იყოს 1242.0კვ.მ; პროექტით გათვალისწინებული საზაფხულო ფართობი შეადგენს 901.7 კვ.მ-ს, ხოლო ბრძანებაში მითითებულია 918.0კვ.მ; არასწორადაა აგრეთვე დაფიქსირებული დამხმარე ფართობის ციფრობრივი მაჩვენებელი და 139.4 კვ.მ-ს ნაცვლად ბრძანებაში მითითებულია 145.3კვ.მ. აღნიშნულის გამო იცვლება საერთო ფართობის მაჩვენებელშიც, კერძოდ ბრძანებაში ნაცვლად 14 787.03 კვ.მ-ისა დაფიქსირებულია 14 763.5 კვ.მ.
სამსახურმა შეადარა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და დაადგინა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.01.2014წ. #1068900 ბრძანებაში და საცხოვრებელი, კომერციული, საზაფხულო, დამხმარე და საერთო ფართობები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- საერთო ფართობი: 14 787.03 კვ.მ.
- საცხოვრებელი ფართობი: 9661.43 კვ.მ.
- კომერციული ფართობი: 1242.0კვ.მ.
- საზაფხულო ფართობი: 901.7 კვ.მ.
- დამხმარე ფართობი: 139.4 კვ.მ.

2.დანარჩენ ნაწილში ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.01.2014წ. #1068900 ბრძანება დარჩეს უცვლელი;
3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.01.2014წ. #1068900 ბრძანებასთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. N7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.